# ერი

№ 6
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით. . . . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . . . . | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ხუთშაბათი, 7 ნოემბ.
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Е Р И" Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1913-წელი.
ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი
„ე რ ი"

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.
მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Эри". Ивановская, д. В. Чиладзе.
ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери".

ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა და კოტა (ივანე) გიორგის ძე აბაშიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ გადაცვალებას მათი ბიძის
თ-დი კონსტანტინე ივანეს ძის აბაშიძისას.
რომლის დაკრძალვაც იქნება რვას ამა ნოემბერს, დღით პარასკევს, ნაშუადღევის სამ საათზე. გამოსვენება მთავარანგელოზის ეკლესიიდან საფიჩხიის სასაფლაოზე.
პანაშვიდი საღამოს შვიდ საათზე ყოველდღე მთავარანგელოზის ეკლესიაში.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები
„დ ე ლ ი - ბ ა ზ"
10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.
პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

ქ უ თ ა ი ს ი
პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.
მუდმივი საწოლებით
თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

| | |
|---|---|
| **დ ი ლ ი თ.** | |
| დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. . . . | 8—10 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | 12½ 2 |
| **ს ა ღ ა მ ო თ** | |
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №
სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

მევენახეთა საყურადღებოთ!
1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.
ამერიკული ვაზის სანერგე „კლდე ყღურული" ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გო[illegible] ლის სახლში ვ. ტიეგო.

# განცხადება.

კავკასიის სამთო გამგეობა აცხადებს, რომ 7 დეკემბერს 1913 წ. მოწვეულ იქნება ქალაქ ქუთაისში შორაპნის მაზრის შავიქვის მრეწველთა XVI მორიგი კრება, 1-ლი კავკასიის სამთო ოლქის სტატსკი სოვეტნიკის ინჟენრის აბრამ გრიგორის ძის ცეიტლინის თავჯდომარეობით, შემდეგი საკითხების განსახილველათ:

I. კრების მდივნის არჩევა.

II. განხილვა ანგარიშებისა: ა) კრების საბჭოსი; ბ) სარევიზიო კომისიისა; გ) ჭიათურის რკ.-გზაზე პლატფორმათა და ვაგონების განმანაწილებელი კომიტეტისა.

III. განხილვა მაღაროების სიმდიდრის სტატისტიკური ცნობებისა, მადნის რაოდენობისა რკინისგზის სადგურებზე და აგრეთვე გაზიდვისა, გადასაზიდ საშვალებათა და საწყობი ადგილებისა, როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარი ლიანდაგზე.

IV. დაწესება ვალისა საფუთო გადასახადის მოკრეფის შესახებ საბჭოს სასარგებლოთ.

V. მადნებისათვის სასმელი წყლის მიწოდების შესახებ.

VI. მდინარე ყვირილას შავიქვის ლექისაგან გაწმენდის შესახებ.

VII. ქიმიური ლაბორატორიის მოწყობის შესახებ ჭიათურაში.

VIII. ქუთაისში და ჭიათურაში შენობათა აგების შესახებ, საბჭოს საჭიროებისათვის და აგრეთვე საზოგადო ბაღის გაკეთების შესახებ ჭიათურაში.

IX. სადგური ჭიათურისა და მთავარი გზების განათება.

X. მისავალი ლიანდაგის გაყვანა შავიქვის რაიონის ხეობებში.

XI. **სარკინიგზო საკითხები**: ა) საბჭოს მიერ ნებართვის აღების შესახებ, რომ ისარგებლოს ამიერკავკასიის რკინისგზის ტელეფონით. ბ) სამგზავრო ვაგონთა განათების გაუმჯობესება; გ) სადგური პუნკტის მოწყობის შესახებ პატარა ჭიქოურაში; დ) სად. შორაპნის გაფართოვების შესახებ; ე) მეორე გზის მოწყობის დაჩქარება სად. დარკვეთსა და ჭიათურას შუა; ვ) საცალფეხო გადასავალი ხიდის გაკეთების შესახებ ჭიათურაში; ზ) მოკირწყვლა და რიგიანათ შენახვა არსებული გზებისა სად. ჭიათურაზე; თ) განათება გზაჯვარადინებისა და საწყობებისა ჭიათურაში; ი) დაწესება სასადგურო ტარიფისა, როგორც მგზავრთა, აგრეთვე ყოველგვარ ბარგზე, გარდა შავიქვისა; კ) გადიდება პირდაპირ მავალ ვაგონებისა ფოთიდან—თფილისამდი, ფოთიდან—ქუთაისამდი, ქუთაისიდან—თფილისამდი, ბათომიდან—ქუთაისამდი და უკან; ლ) მატარებლების დგომის დროის შემცირება სადგურებზე; მ) სხვადასხვა საკითხი, რომელიც ეხება შავიქვის გადატანის გაუმჯობესებას.

XII. მოწესრიგება საკითხისა იმის შესახებ, რომ გამოსავალი წინა მაღაროებისა თავისუფალი იქნეს იმათ უკან მდებარე მაღაროებისათვის.

XIII. რათა გზები, რომელიც მაღაროების წინ მდებარეობს გადაიქცეს საზოგადოების საჭიროებისათვის და მიენიჭოს საბჭოს უფლება მათი განკარგულებისა შავიქვის მრეწველობის საჭიროებისათვის.

XIV. სახელმწიფო ბანკიდან წვრილ მრეწველთათვის სესხის მიცემის შესახებ.

XV. ლონისძიება, თუ როგორ გაინაღდოს საბჭომ უფლება სესხის აღებისა.

XVI. მოსამსახურეთა და მუშათა დაზღვევა.

XVII. ფოთის შავიქვის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა.

XVIII. კრების წესდების იმ ნაწილის შეცვლა, რომელიც კრებაზე ხმების განაწილებას ეხება.

XIX. მოწვევა მეორე მოსიარულე აქიმისა.

XX. გადაშინჯვა საბჭოს მოსამსახურეთა შტატისა.

XXI. განხილვა და დამტკიცება 1914 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

XXII. არჩევა თანამდებობის პირთა.

აქიმი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

აქიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.
მ. გალანჩიკაძისა
კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ლაბა ზესტაფონი
აქიმი ლ. დ. ნაზაროვი
მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლ.ათ მიღებული საქონლები პირველი ღირსებ.!, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდ და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ ის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკ ბი, ფეხსაცმელები ქაფის, კაცისა და ბავშ ის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ?ეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალ.ს და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კ.ცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს

**ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



კ. ჺც. თუთუნს ეჭევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პაროსი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება

## ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

## პ. ს. ჩინჩალაძისა.

ვღებულობ ანალიზებს! **შარდისას, სისხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.**

ბაკტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიის ბაცილებისა.

ლაბორატორიიდან ეძლევათ ბატ. აქიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.


## დ ღ ი უ რ ი.

„კიევლიანინის" რედაქტორს შულგინს ბეილისის საქმის შესახებ წერილის დაბეჭდვისათვის საბრალდებულო ოქმი ჩააბარეს.

— ბელგრადში საზღვრების შესახებ ხელშეკრულობას სერბიისა და მთაშავეთის რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს.

— სათათბირომ მიიღო კანონპროექტი პოლონეთში ერობის შემოღების შესახებ.

— ვარშავაში რუსეთის სამეფო ფოსტ? წმების ჩვენების ჩამორთმევა დაიწყეს.

— დურბანში ინდოელთა საერთო გაფიცვა დაიწყო. გაფიცულები ევროპიელების ამოწყვეტას ფიქრობენ.

## „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!"

გაგრძელება იხ. „ერი" № 5.

გავიდა კიდევ ხუთი წელიწადი. დადგა საბედისწერო მარტის თვე. კაცს რაღაც მისტიური ეჭვი აღეძვრის ილიას წამების ისტორიას რომ გაითვალისწინებს: 1900 წლის მარტის თვეში დაიწყეს მის წინააღმდეგ პროტესტები, და 1905-ში იმავე მარტის თვეში გავიდა ხუთი წელიწადი და ფილიპე მახარაძემ სასტიკ ჯაშუშათ გამოაცხადა უდიდებულესი მწერალი საქართველოსა. კაცს არ ესმის, ვერც გაიგებს, რას ერჩოდა ილიას, როცა იგი თითქმის უკვე აღარავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა იმ დროის გაცხარებულ ბრძოლაში. მაგრამ გიჟის, დეგერენატის მოქმედებას არაოდეს არ აქვს ლოღიკური საფუძველი. იმ დროში კაცის ჯაშუშათ გამოცხადება, განჩინება იყო სიკვდილით დასჯისა-მეთქი, მოგახსენებდით. ბ. ნ. ჟ. უკვირს, როგორ შეიძლება ფ. მახარაძის წერილს დაუკავშიროთ ილიას სიკვდილი, როცა ამ ორი ფაქტის შორის რამდენიმე წელიწადი გავიდაო? აი კიდევ ერთი ნიმუში ჯამბაზობისა. ეს „რამდენიმე წელიწადია", რა, რამდენიმე წელიწადი? სულ ორი წელიწადი გახლავსთ. მერე გულუბრყვილო მკითხველს ეგონება, იმნაირი გაკვირვებით ლაპარაკობს ბ. ნ. ჟ. თითქო ფ. მახარაძის წერილი ილიას მოკვლას შემდეგ იყოს დასტამბული, ანა და იქნებ ბ. ნ. ჟ. ფიქრობს, რომ ორი წელიწადი დიდხანია, ისეთი „ნაფოტის" ჩამოჩეხისთვის, როგორც ილია იყო. რაც უნდა ნაძირალები ყოფილიყვენ მისი ფიზიკური მკვლელები, მაინც ორი წელიწადი კიდევ ცოტა დროა მათ გამოსაძებნელათა და მათ დასაჯერებლათ. ზემოთ არ მოგახსენეთ ეს მკვლელობა სისტემატიურათ მზადდებოდა და როცა დარწმუნდენ „მოგზაურის" საზიზღარ ცილისწამებისა და შემდეგ მოურავის მოკვლის გამო, რომ ილიას კაცი მეგობარი არ გამოუჩნდა ამ სიმპტომატიური მოვლენისა, ამ „პირველი გაფრთხილებისთვის" პასუხი გაეცა, მერე მასაც სწვდენ და „აღასრულეს". ასე რომ აქ ეს მოსაზრება რა მოსატანია, ან რა საფუძველია, ასეთი ლაყბობა მარტო წყალ წაღებულის ხავსია.

გავიდა კიდევ ხუთი წელიწადი და 1913 წლის მარტში კვლავ აყაყანდა საქართველოს ბიაროტი სული, ფილიპე მახარაძე კვლავ სწვდა ილიას, საფლავიდან ამოიღო და... საიკარი გამბედაობა გამოიჩინა მთელს თუ არა, თითქმის მთელ პარტიას იგი გაარიზგვია. წამოვიდა „პროტესტები", „პროტესტებზე", სადაც პროტესტანტები ურცხვათ გაიძახიან: „ღრმა თანაგრძნობას, გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ ფ. მახარაძეს", „უანგარო მოღვაწეს", „ჩვენ ვართ მისი თანამოაზრენი", „მადლობა ფ. მახარაძეს, რომლის შემწეობითაც თვალები აგვეხილაო"; „ჩვენ ვართ ფ. მახარაძის კამპანიაო", „ჩვენ დაურღვევლათ მიგვაჩნია ჟურნ. „მოგზაურში" განსვენებული ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი", „ჩვენი თანაგრძნობა ცილისმწამებლებისგან თავხედურათ ათვალისწინებულ ფ. მახარაძისკენაო", „ნებას არავის მივსცემთ ფეხქვეშ გასთელონ ისეთი პიროვნება, რომელიც დარაჯათ უდგას კაცობრიობის კეთილ მისწრაფებას", (რასაკვირველია, ასეთი როლი „პროტესტანტების" აზრით მარტო დეგენერატ ფ. მახარაძეს ეკუთნის), „ჩვენ თავიდანვე თვალყურს ვადევნებდით ჟურნალგაზეთებს და ვეცნობოდით ი. ჭავჭავაძის გარშემო ატეხილ დავას, მაგრამ დღემდი არავის დაურღვევია ის ბრალდებები, რომელიც ფ. მახარაძემ და „მოგზაურის" კორესპონდენტმა წამოაყენა განსვენებულის წინააღმდეგო". ე. ი. ყველა ეს ვალეხნიკოვები, მაროზოვები, გრიმთელოვები, არმენაკ ამბადაროვები, კეშოვები, ტატალოვები, პარამუზოვები, როკვითარკოვები, ჩილინგაროვები, მარია ვიჩურკინა, მანია № (ესეც გვარია), მარო კლაცმანი და სხვანი მრავალნი განურჩევლათ წოდებისა, ეროვნებისა, სქესისა, ხნისა, ჭკუისა, სინიდისისა და გონებისა ადასტურებენ, რომ დიდი მოძღვარი, ახალი საქართველოისა ილია ჭავჭავაძე იყო, „უსასტიკესი ჯაშუში, რომელსაც ჯაშუშის ხელობა ზედმიწევნით ქონდა შესწავლილი". და სულ რამდენიმე დღეა მას აქით სომეხთა „მემარცხენე" გაზეთმაც კვერი დაკრა თავის თანამოაზრე ფ. მახარაძეს და საქვეყნოთ განაცხადა: „ილია ჭავჭავაძე ასრულებდა სამარცხვინო როლს ჯაშუშობისასაო".

ამგვარათ ბ. ფ. მახარაძემ საზიზღარს საეროვნო ბოროტმოქმედებაში, რომელიც აღასრულა თითქმის მთელი პარტია ჩაითრია და მთელს „პროტესტანტთა ჯგუფს საუკუნო ჩირქი მოსცხო. თუ აქამდი ვისმე რაიმე ეჭვი ქონდა, თუ კიდევ, ვისმე რაიმე ურწმუნოების აჩრდილი მოევლინებოდა იმ საზიზღარი როლის შესახებ, რომელიც ფ. მახარაძემ წიწამურის ტრაგედიაში ითამაშა, თუ კიდევ ვისმე ეგონა, რომ ფ. მახარაძესა და მის კამპ. იუდის როლი არ უკისრებია—დღეს ეს აღარ არსებობს. კაცმა რომ სთქვას, იუდას ვერც კი შევადარებთ ფ. მახარაძეს, იუდამ შეიგნო რამ, რო „მისცა სისხლი მართალი... დააბნია ვერცხლი იგი ტაძარსა შინა, და განეშორა; და წარვიდა შიშთვილიბა". (თავი ჩამოიხჩო).

ადამიანმა, რომელმაც მოახერხა დატანჯულის, მოკლულის, განაწამების დიდებულის მგოსნის ნეშთის გამათრახება, რომელმაც „მახვილებითა" და „წათებითა" აღჭურვა ამდენი ხალხი ჯვარცმულის მოძღვრის შესაგინებლათ, ამ ადამიანს შეეძლო ყოველიფერი ჩაედინა. იმისა და მისი ნამდვილი „კომპანიის" საქმეა საეროვნო ბოროტ მოქმედება. რასაკვირველია, ჩვენ დღეს, როცა ფორმალური საბუთი ხელში გვიჭირავს, რომელზეც ხელი უწერია რამდენიმე ას და ათ.ს კაცს, ჩვენ შეგვეძლო მთელის პარტიის შესახებ გველაპარაკა. მაგრამ რაც არ უნდა შემოგვიტიონ „პროტესტანტებმა", რომ იგინი შეგნებული არიან, რომ თვალყურს ადევნებდენ საქმეს და ყოველნაირათ დაგვარწმუნონ, რომ იგინი სრულს ჭკუაზე არიან, როცა ასეთ „პროტესტებს" ხელს აწერენ, ჩვენ იგინი მაინც ბრმა იარაღათ მიგვაჩნია, მახინჯის სულისა, ეშმაკეულისა. მათ ან არ იციან, რას აწერენ ხელს, ან თუ იციან, ცრუ წინასწარმეტყველს უჯერიან და „მცირენი ამათგანი დაბრკოლებულ" არიან მისაგან. რაც არ უნდა შემოგვფიცონ არ დავიჯერებთ, რომ ამდენ ხალხს სწამდეს, რომ საქართველოს ტანჯულის სულის მოციქული, მათ „ჯაშუშათ მიაჩნდესთ", და ისინი კი ამას ამტკიცებენ თავისის პროტესტით*). და ეს დასკვნა ჩვენი გამოყვანილი ხომ არ არის. ფ. მახარაძის და კომპ. მეგობრის სომხური გაზეთის დასკვნაა, ამ „პროტესტებზე" დამყარებული: ილიაო, გვიბძანებს ეს გაზეთი, ასრულებდა სამარცხვინო როლს ჯაშუშისას, ამის დამამტკიცებელი საბუთი ქართველ მემარცხენეებს აქვსო და სომხები ხომ მემარცხენეებათ მარტო ესდეკებსა სთვლიან.

თუ კი ამდენ კაცს ასეთ სამარცხვინო საბუთებზე აწერიებს ხელს ფილიპე მახარაძე და მისი დამქაშები, დღეს, როცა ცოტა არ იყოს გამოფხიზლების ხანაა, რას არ იზამდა სულით მახინჯი ადამიანი იმ დროში, როცა სრულიად დარღვეული იყო სულის მშვიდობა და საკმარისი იყო ვისმე წამოსცდენოდა ამა თუ იმ პირის შესახებ ჯაშუში, რომ ცივი ტყვია მისთვის მზათ გამზადებული იქნებოდა.

ასეთი ლათაიებით კი, როგორსაც ვიღაც „გულუბრყვილო" „მადლენი" გვიმღერის დასელების ორგანოში („თანამედროვე ქვეყანა" № 32) ბავშების მოტყუებაც კი არ შეიძლება: „რავერ შეიძლებოდა, რომ პარტიას, რომელიც გაბედვით უარყოფს მემამულეებსა და კაპიტალისტებთან ტერორისტული აქტებით გამკლავებას, შექმნა ატმოსფერა და მოამზადებია ნიადაგი ილია ჭავჭავაძის მოსაკლავათ. ამ სიტყვებს თვით ავტორი ხაზსაც კი უსვამს. რა საბუთია ეს თუ არა ერთგვარი პროვოკაცია. თუ მოვახსენეთ „მადლენს", რომ მიუხედავათ თეორიისა, პრაქტიკაში მრავალი მემამულეები და კაპიტალისტები გამოასალმა ამ პარტიამ წუთისოფელს-თქო, მაშინვე შეიქნება ყიჟინა ჯაშუშობის შესახებ, თუ არა და ამგვარი წილადობილათი მარტო მარია ვიჩურკინა და მარო კლაცმანი თუ გაებმება მახეში, თვარა არა ჭკუათა მყოფი ადამიანი. მადლენის და მისი ამქრებისთვის მიგვინდვია იმის გამოკვლევა, რას მოქმედებდა „პარტია" ამ ნიადაგზე და ვსთქვათ, რომ „მადლენი" არ ცუდლუტობდეს ამ შეკითხვით და, მართლაც, დაუჯეროთ, რომ „პარტიას" არცერთი მემამულესთვის ხელი არ უხლია. ბ. მახარაძე ილიას მარტო სასტიკ მემამულეთ ხომ არ ხედავს, იგი მას სასტიკ ჯაშუშათ აცხადებდა თავის „უკვდავ" წერილებში, „ჯაშუშათ, რომელსაც ზედ მიწევნით აქვს თავისი როლი შესწავლილი" — ამგვარ „მოღვაწეებს" კი იმ დროში დარწმუნებული ვართ „პარტია" არ დაინდობდა და სიბრალულით არ მოეკიდებოდა, ამას ვეღარც „მადლენი" ყოფს უარს. თუ დააკვირდებით დასელების წერილებსა და პროტესტებს ნათლათ არის ერთი აზრი გატარებული: ფ. მახარაძის ბრალდება ილიას შესახებ ვერავინ დაარღვია, იგი თავიდან ბოლომდი სიმართლეაო... გაუმარჯოს ფ. მახარაძისთანა „უანგარო" მოღვაწესო. თუ ფ. მახარაძის ბრალდება ილიას შესახებ შეურყეველია, თუ „ილია მართლა ჯაშუში იყო, მაშასადამე, მისი მოკვლაც გასამართლებელია დიდის უმრავლესობის თვალში. ცოტა მოიძებნება ჩვენში კი არა, უფრო განვითლებულსა და დაწყნარებულ ქვეყნებშიაც, რომ ასეთ მკვლელობას მოთმინებით არ შეხედოს. სასაცილოა, სამწუხაროც რომ არ იყოს ის ხმალში გაწვევა, რომელსაც დასელები ეწვევიან ახლა: თქვენ არ გინდათ, თორემ ჩვენ ყოველთვის გვინდოდა ილიას მკვლელები აღმოგვეჩინაო. თუ ასეთი სურვილი ქონდათ დასელებს ყოველთვის შეეძლოთ ეს მოეხდინათ, მით უფრო იმ დროში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა მაგათ ერთგულ ქვეშევრდომათ მიაჩნდათ. რა საჭირო იყო აქ ფედერალისტების დახმარება? სწორეთ ფედერალისტების ჯიბრზე უნდა მოეხდინათ ეს გამოძიება.

მაგრამ „გამოძიება" სიტყვის მასალათ იყო ნახმარი, ხოლო იმ დროებში კი ხდებოდა სულ სხვა ფაქტები, ვიღაც, რომელიღაც ძლიერი ორგანიზაცია სცდილობდა კვალის წაშლას: ერთ-ერთი მკვლელის ოფიციაურის მეტეხის ციხიდან გათავისუფლება ისეთს პირობებში მოხდა, რომ უეჭველი იყო დიდათ დაინტერესებული ჯგუფი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ასეთს ჯგუფს შეეძლო ასეთის აურზაურის მოხდენა. დღეს კი ყოველივე ამგვარი გამოძიება კომიკურის ხასიათის იქნება... თუ არ ვიქონიებ იმედს, რომ ჩვენი იუდაც ერთ დროს იტყვის ისტორიულ სიტყვებს: „ვცოდე რამეთუ მიგეც სისხლი მართალიო" და თვით თავის თავს არ მიაყენებს ისეთსავე სასჯელს რისიც ღირსათ დაინახავს თავს.

ერთ პილატეთაგანი.

(დასასრული ხვალ)

*)თუ დაუკვირდებით „პროტესტებს" ნახავთ, რომ „პროტესტანტები" ყოველ დონეს ხმარობენ ილია აბუჩათ აიგდონ, ბ. ნ. ჟორდანიასაც არ იყოს ეპიტეტი „განსვენებულის" მეტი ვერა მოუნახავთ რა.

## ახირებული პუბლიცისტები.

უცხოეთისა და განსაკუთრებით კი რუსეთის „ნაფიცი" თუ „კერძო" პუბლიცისტ-ჟურნალისტთა უმრავლესობა ან სულ არ იცნობს ჩვენს ქვეყანას, ან იცნობს და გაგონილი, ყურმოკრული „ზღაპრებით". მათ შორის იშვიათია ისეთი ვინმე, რომელიც დაინტერესებული იყოს და სურვილი ქონდეს საკუთარი თვალებით ნახოს, დაახლოვებით გაეცნოს იმ მხარეს, რომელმაც პარნასის მწვერვალზე ასტყორცნა რუსეთის საამაყო შვილები ლერმონტოვი, პუშკინი და სხ., რომელმაც ერთდროს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია რუსეთის სახელოვანი მწერალის ლევ ტოლსტოისა. არ ვამბობთ, რომ დილიდან საღამომდი ყველა ჩვენს ქება-დიდების მეტს ნურას გააკეთებენ-თქო... ბევრი მათგანი, თუ სულ არ დასძრავს კრინტს ჩვენს ტანჯულ ქვეყანაზე, ამ უბედურებასაც გაუძლებთ და ამის გამო ყელს არ გამოვიჭრით, მხოლოდ ლანძღვა თრევით ნუ გაგვიმასპინძლდებიან, როცა ეს არ დაგვიმსახურია და უცოდინარობა-უვიცობისა გამო, ან განზრახ ჭეშმარიტების სიცრუის ქსელში ნუ გახვევენ. პუბლიცისტს ნება აქვს არა მარტო საფრანგეთსა და ინგლისს, ისეთ ბედით ჩაგრულს პატარა მხარესაც შეეხოს, როგორც საქართველოა, მხოლოდ არა უცოდინარობით აღჭურვილი ან და განზრახ მტრული ლტოლვილებით გაჟღენთილი. ფულს პუბლიცისტზე არა ნაკლებ კომერსანტი ეტრფის, მხოლოდ ამ უკანასკნელს ბევრი რამ ეპატიება ფულის მოსაპოვებელი სარბიელის გამონახვაში, პირველი კი ამ შემთხვევაში უფრო დაკვირვებული უნდა იყოს და მისი წერილი, როცა მითუფრო წერილი, რომელიც უცხო მხრის ცხოვრების გამოკვლევასა და მის ზნე-ჩვეულებებს შეეხება, ყოველთვის ღრმა დაკვირვებისა და მიუდგომლობის შედეგი უნდა იყოს. წერა იმისთვის, რომ, რა არის, რამდენსამე მანეთს ჰონორარს ავიღებ, ან არა ვისმე ვასიამოვნებ, სხვას კი ავატირებო,—უნდა სიმართლე მოგახსენოთ თავხედობაზე უარესია. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა ჩვენში, როდესაც ვინმე უცხოელი სტუმრათ გვწვევია, პირზე ღიმილით მივეგებებივართ, ქართველური გულუხვობითა და პურმარილით შევხვედრ.ვართ, მიგვილია, არა დაგვიზოგავს, რომ უცხო სტუმრისთვის სიამოვნება მიგვენიჭებია, იგი კი შინ მოგვფერებია და, ჩვენი ქვეყნის საზღვარს გასცილებია თუ არა, ჩვენი ლანძღვა-თრევის მეტი არა გაუკეთებია. ზოგჯერ სტუმართა ამგვარ მოქმედებას სხვა საეჭვო სარჩულიც ქონია, რომელზეც აქ ლაპარაკი მეტათ მიგვაჩნია, და რაც ზოგჯერ შემდეგი თქმულებით დახასიათდება: „მამლის ცოდვას კრუხი კაკანებდაო".. მაგრამ ხშირათ კი უცხო სტუმართა ზერელე მსჯელობის საფუძველი მათივე უცოდინარეობისაგან მომდინარეობს, გონიათ—ერთი ქართველის ნახვა, ან მისი კერძო ცხოვრებიდან რომელიმე განსაკუთრებული ეპიზოდის გაგონება ქართველთა ერის ყოფაცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა, დამახასიათებელ მასალას იძლეოდეს. ასე იყო ეს ამ ერთი თუ ორი წლის წინათ, როდესაც ერთ-ერთ გერმანელს ხარი დაუკლეს პატივისცემის ნიშნათ, მან კი ყველაფერი ეს ჩვენს უკულტურობა—ველურობას მიაწერა და „ტაგებლატში" ჩვენის ლანძღვით თანამემამულეებს ყურები გამოუჭედა. ასე იყო ეს რამდენიმე თვის წინათ, როდეს „რუსკოე „სლოვოს" „ნაფიცმა" პუბლიცისტმა ჟილკინმა არ არსებული რამეები მიაწერა მთიულებს და შემთხვევით მგზავრისაგან გაგონილი, ყურმოკრული საუბარის მიხედვით, (რომელსაც, ვინ უწყის, ნორმას გადაცილებული არაყის სმითაც ქონდა სახე შეწითლებული) კავკასიის დღევანდელი მდგომარეობა გაითვალისწინა, შემთხვევითი გაგონილი „ზღაპრები" ჭეშმარიტებათ დასახა და მკითხველ საზოგადოებას ამგვარს „უტყუარ საბუთებზე" დაფუძნებულ-დამყარებული „სტატიებით" გაუმასპინძლდა. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნუმერში ამოიკითხავდით წერილს ხარკოვიდან, სადაც ჩვენი კორესპონდენტი რუსეთის ერთი პროვინციელი „პუბლიცისტის" შესახებ სწერს. ამ „არა მკითხე მოამბესაც" გაუნავარდებია საქართველოს მიდამოებზე, (იგი ხომ კაი ხანია ამგვარ გმირთა სანავარდოთ გადაიქცა) და აღჭურვილს არა ღრმა ერუდიციითაა და დაკვირვებითა, არამედ მეტიჩრობითა და უმეცრებით „ენის ქავილი" და „კალმის წრიპანი" ჩვენი სამშობლოს გულსა და სულზე, გურიაზე დაუცხრია, იგი გახლავთ ხარკოვის გაზეთის თანამშრომელი ვინმე ბაბეცკი, რომელიც ეხება ზელიმხანის მოკვლას და შემდეგ კი... გურულ ქალებს. ამ შემთხვევაში ზელიმხანსა და გურულ ქალებს შორის ისეთი კავშირი არსებობს, როგორიც ბატონი ბაბეცკისა და პატიოსნებას შორის, ან იმდენათ დაშორებულია ეს უკანასკნელი სინიდისს, რამდენათაც შავი ზღვის ნაპირები სამხრეთ კავკასიას. მის ავათმყოფ „ბოდვასაც" არავისთვის, გვგონია, სიმართლის ხასიათი არ ექნება, მხოლოდ ჩვენ კი არ შეგვიძლია ახლაც ისე, როგორც ყოველი სხვა ამგვარი შეუსაბამო მოვლენის დროს, ჩვენი აშფოთება არ გამოვსთქვათ. ახირებულია, ღმერთმანი! ყველა ვიგინდარამ და „მეცამეტე გოჭმა" აუცილებლათ ჩვენს შესახებ მსჯელობის დროს უნდა აბზიკოს მოკლე ტალახიანი კუდი, ყველამ ამ დროს უნდა დაიძახოს კუსავით, „მეც დამჭედეთო". ხარკოვის ქართველ

სტუდენტობასა და საქართველოს დეპუტატს ხსენებული წერილის გამო იმავე გაზეთში საპროტესტო წერილები მოუთავსებიათ, მაგრამ ბ-ნ ბაბეცკის კვლავ დაჟინებით გაუმეორებია, ნუთუ ამ სამ პირს არ ვენდო, ვინც ეს ამბავი მომიყვა? ხომ ხედავთ, მკითხველო, თუ რა ,,წყაროებიდან'' ამოუკრეფია ბ-ნ ჟურნალისტს ხსენებული მარგალიტები? მაგრამ რას ვამბობ, ან ღირს კი ბაბეცკებზე და მის მზგავსთა შესახებ რაიმეს თქმა? ,,ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო''—ნათქვამია, და მართალი მოგახსენოთ, ქარავანის სვლას ბაბეცკები და ძილკინები ვერ შეაჩერებენ, მხოლოდ დამსახურებულ უმადურებას კი ყოველთვის მოიპოებენ ჩვენის მხრით. **იმერი.**

# ანტონ ფურცელაძის ხსოვნა

1889 წლ. ზაფხულის ერთს მშვენიერ დღეს ანტონს მის საკუთარ ოჯახში (ს. არბოს) ვეწვიე.

ყმაწვილი ვიყავი. მას კი, თუმცა თმა გაჭაღარებულს, ჯერ კიდევ მხნე. ჭაბუკისებური სახის მეტყველობა და მიხვრა-მოხვრა ქონდა.

მის სახეზე იხატებოდა დიდი ენერგია და გულკეთილობა, ერთად შეზავებული.

მისმა მიმზიდველმა სახემ და ტკბილმა საუბარმა მომხიბლა.

პირველათ მნახა და მაშინვე შევუყვარდი, როგორც შვილი მამას. თავისი გულის პასუხი გადამიშალა, გამიხიარა. და მას შემდეგ მეგობრები ვიყავით.

ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება, იმან რომ მაშინ გიორგი სააკაძის ამბავი მიამბო: რა ენერგიით, რა მჭერმეტყველებითა და გრძნობით ილაპარაკა მთელი ორი საათის განმავლობაში! მისი ლაპარაკი შადრევანს, უკეთ ვსთქვათ, მორაკრაკე წყაროს მაგონებდა. დიახ! მას უყვარდა გიორგი სააკაძე, როგორც იდეალური გმირი, დამცველი საქართველოს არსებობისა.

ანტონ ფურცელაძე მთლიანი პიროვნება იყო.

მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე: გიორგი სააკაძის ისტორიას გარდა რომ არაფერი დაეწერა, მაინც უკვდავი იქნებოდა მისი სახელი. იმავე დროს ის პრაქტიკული საზოგადო მოღვაწეც იყო და არც პარად ბედნიერებას გაურბოდა.

ის არ გავდა ზოგიერთ ინტელიგენტს, რომელსაც მუდამ უტირის ცხვირ-პირი. პირიქით, უყვარდა ცხოვრება, სვამდა სიცოცხლის ტკბილ ნექტარსაც.

დარბაისლობასთან ერთად მას მხიარული ხასიათიც ამკობდა. და გამამხნევებელი იყო მეგობრისა ჭირშიც და ლხინშიც.

დრო არ არის ჯერ მისი ლიტერატურული ღვაწლის დაფასებისა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ანტონ ფურცელაძე თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მწერალთა შორის.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, ძვირფასო მასწავლებელო და დაუვიწყარო მეგობარო. ქართველი ერი არ დაივიწყებს შენს სახელს.

**ვასილ წერეთელი.**

## † სახალხო მასწავლებელი ვასილ საჩინოსძე ბარათაშვილი.
(ნეკროლოგი).

ოკტომბრის 27-ს ზემოიმერეთის სოფ. ნიგოზეთში მშობელ მიწას მიაბარეს ამავე სოფლის, მერევის ორკლასიანი სამინისტრო შკოლის მასწავლებელი ვასილ ბარათაშვილი, რომელიც გადაიცვალა უეცრათ, ჯერ კიდევ მხნე, დაბადებიდან 53 წლისა. განსვენებული 35 წლის განმავლობაში პატიოსნათ ასრულებდა სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას. იგი წყნარი მუშაკი იყო, ყოველთვის ერთგული და მოყვარული თავისი მოვალეობისა; დღევანდელს ჩვენ სახალხო მასწავლებელთა შორის ძვირათ შეხვდებით ისეთ ბეჯითს, გამოცდილსა და თავის საქმის მოყვარულ მასწავლებელს, როგორიც იყო განსვენებული ვასილი; როგორც ადამიანი იყო მშვიდობიანი, უწყინარი, მხიარული, ყველასთვის შეთვისებული, რის გამოც დიდი პატივისცემა ქონდა დამსახურებული საზოგადოებასა და ამხანაგებში. ბევრი სარგებლობა მოუტანა მან 35 წლის განმავლობაში თავის საყვარელ საზოგადოებას, რომელსაც არ შორდებოდა და თავიდან იქ მსახურობდა; განსვენებული იღებდა აგრეთვე მონაწილეობას სხვადასხვა კულტურულს განმანათლებელ დაწესებულებაში. მის დასაფლავებას დაესწრო აუარებელი საზოგადოება; კუბოს უკან მისდევდენ თვალცრემლიანი მოსწავლენი და ამხანაგები. გრძნობიერი სიტყვებით მიმართეს ცხედარს პატარა მოწაფეებმა და აგრეთვე გარეშე პირებმაც. კუბოს ამშვენებდა გვირგვინები.—საუკუნო იყოს შენი ხსენება, ჩუმო მუშაკო, ღირსეულო მასწავლებელო, ვასილ!

**ლ. ბზვანელი.**

# ახალი ამბავი.

ქალაქის გამგეობაში ამჟამათ ბევრი ოქმი მიდის ბაზრის ზედამხედველებისგან. ზედამხედველები სჩივიან, რომ მეპურეები ყალბ ფქვილს ხმარობენ და პურს უსუფთაოდ აცხობენო. საჭიროა, ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ქალაქის გამგეობამ სასტიკი ზომები მიიღოს.

✦ ქუთაისის ქალაქის აქიმი ერმალო სოფრომის ძე ხუნდაძე ბაქოს საგუბერნიო აქიმის თანაშემწეთ დაინიშნა. მის ადგილზე დაინიშნა ქუთაისის მაზრის აქიმი დავით ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, ხოლო უკანასკნელის ადგილზე აქიმი ბიკტორ ხუსკივაძე ინიშნება.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ქალაქის გამგეობაში მოხსენება შეიტანა, რომ ქუთაისის მეპურენი არსებულ ნიხრს არ ემორჩილებიან, პურს მეტ ფასათ ყიდიან, და რადგან, მათზე ოქმები აღარ მოქმედებს, საჭიროა, გამგეობამ სხვა საშვალებას მიმართოს თავგასულობის ასალაგმავათ.

✦ კვირას, 10 ნოემბერს ქალაქის თეატრში გაიმართება ფრიად საგულისხმო სალიტერატურო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: **სამსონ დადიანი**, წაიკითხავს ლექციას მე-XIX საუკ. ქართ. ლიტერატურის შესახებ; სიტყვა, გრიგოლ დიასამიძე, ნ. ლორთქიფანიძე, დ. მესხი, ა. ჭუმბაძე, **ჯ. ჯორჯიკია**, გუცა და სხ.

✦ სინოდის მოხელემ, რომელმაც რევიზია მოახდინა ფოთის საკრებულო ტაძრის ამშენებელი კომიტეტის მოქმედებისა, სინოდის შაბათის სხდომაზე მოხსენება წაიკითხა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ანგარიშებში არავითარი ბოროტმოქმედება არა ჩანსო.

✦ ქუთაისის ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა უსუფთაო პურის გამოცხობისთვის ოქმი შეუყენა ძველი თფილისის ქუჩაზე რასიმ ალანდარ ოღლის და ხორცის მეტ ფასათ გაყიდვისათვის ყასაბ გიორგი ნიჟარაძეს.

✦ კ. მაჭარაძეს ქართულათ უთარგმნია არციბაშევის ახალი პიესა ,,ეჭვი''.

✦ 21 ნოემბერს ქალთა წრე თავის საშვალებათა გასაძლიერებლათ გამართავს საღამოს.

⌑ 1 ოკტომბრიდან 31 ოკტომბრამდი ფოთის ნავსადგურიდან გაზიდულა 5,359,276 ფუთი ქვა.

✦ 5 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია სოფ. საყულიას ღვდლის ჯინჭველაშვილისა და სამსონ აროშიძის საქმე. ჯინჭველაშვილს აგრეთ წოდებული ,,სბორჩიკების'' შეურაცხყოფა ბრალდებოდა. ჯინჭველაშვილი სასამართლომ გაამართლა, აროშიძეს კი ორი დღით პოლიციის ზედამხედველობაში ყოფნა მიუსაჯეს.

✦ ამავე დღეს სასამართლომ გაარჩია იზმაილ ლომიძისა და სიმონ სალაძის საქმე, რომელთაც ყალბ თამასუქებზე ხელის მოწერა ბრალდებოდათ. სასამართლომ ორივე დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა ღირსების ჩამორთმევა და

✦ პარასკევს 8 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ქალთა მორიგ კრებაზე ბ. ია ეკალაძე იბაასებს ბარათაშვილის პოეზიაზე. ხუთ-ხუთი თვის სატუსაღო.

✦ 5 ნოემბერს ახალ-სენაკის მომრიგებელმა მსაჯულმა დააკმაყოფილა სამოქალაქო სახივარი აბაშის მომხმარებელი საზოგადოების ,,ანგარიში''-სა ლ. ჩემიას წინააღმდეგ. უკანასკნელმა ზარალი მიაყენა საზოგადოებას წესდების დარღვევით.

### ფ ო თ ი.

— 4 ნოემბერს, საღამოს დუქნების დაკეტვის დროს, ვ. აბუევის სავაჭრო დუქნიდან გასაგზავნათ გამოუტანიათ რამდენიმე ნაჭერი ტყავი და გარეთ დაუტოვებიათ. დუქანში საკეტის გამოსატანათ რომ შებრუნებულან, იმ დროს ვიღაცას ერთი ცალი წონით ფუთ ნახევარი მოუტაცია და მიმალულა. მაშინვე პოლიციისთვის უცნობებიათ, შეუკრეს გზები, რომ რკინის გზით არ წაეღოთ, და ბევრი ხნის ძებნას შემდეგ რიონის პირას იპოვეს; წამღები ვერ შეიპყრეს.

— აქიმმა დ. გ—ემ ბ. როსტომაშვილს მიბაძა და გაზეთის დამტარებელს დ. გობელაძეს გაზეთი გადაახია თავზე და უშვერი სიტყვებით გაუმასპინძლდა.

— შაბათს 2 ნოემბერს, მსახიობი ს. ხარაზიშვილის რეჟისორობით, წარმოადგინეს ,,სიძე სიმამრი'' 3 მოქ. კომ. სცენის მოყვარეთა და რეჟისორის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ როლები ყველა მოთამაშეს გულმოდგინეთ და სინიდისიერათ შეესწავლა და წარმოდგენით ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო.

# ყაჩაღის მოკვლა.

სამშაბათს, 5 ნოემბერს, დილის 11 საათზე ბათომში მოუკლავთ ერთი ყაჩაღი რომლის შესახებაც ამბობენ ფორია არისო, და რომელსაც ანანოვის გატაცება ბრალდებოდა. საქმე ასე ყოფილა: ბათომში ჩასულა ორი პირი. ერთ მათთაგანს სურათის გადაღება განუზრახავს და ამ მიზნით ფოტოგრაფთან გამგზავრებულა. მაძებარი პოლიციის თანამშრომელს ვინმე ურუშაძეს დაუნახავს თუ არა უცხო პირი, ეჭვი აუღია. გამოდევნებია და პასპორტი მოუთხოვია. უცნობს უთქვამს, რომ პასპორტი ამჟამათ თან არა მაქვს, სახლში დამრჩა. პოლიციის თანამშრომელი ამით არ დაკმაყოფილდა და უცნობისთვის მოუთხოვია საპოლიციო უბანში გაყოლოდა. იგიც ჯერ დასთანხმებია და შემდეგ კი გაუვლიათ თუ არა რამდენიმე მანძილი, უბიდან მაუზერის სისტემის რევოლვერი ამოუძვრია და თანამშრომელი ურუშაძისთვის ოთხჯერ დაუხლია. რევოლვერის ხმაზე მაძებარი პოლიციის მწერალი გამოსულა და დასდევნებია ბოროტგამზრახველს, რომელსაც მწერლისთვის გულში დაუხლია ტყვია და გაქცევა განუზრახავს. მაგრამ ამ დროს საპოლიციო დარაჯი, ჩასაფრებია და ბოროტგამზრახველი ბერდანის ტყვიით დაუჭრია. დაჭრილი საღამოს 6 საათზე გადაიცვალა. გადაცვალებულს მესტებში 5 ათას შვიდასი მანეთი ამოჩენია. როგორც ამბობენ მოკლული ბოროტგამზრახველი ცნობილი ყაჩაღი ფორია უნდა იყოს, სურათით მისთვის მიუმზგავსებიათ. ჯერჯერობით დანამდვილებით არ იციან მოკლულის ვინაობა.

# ა ქ-ი ქ ა უ რ ი.

გული ბოღმით გევსება, როცა „ერთ კვალ მიწაზე“ დასახლებულს „ერთ კაკალ“ ერს რაიმე ქვენა აზრით განაწილებენ, ძმებს, ნათესავებსა, ღვიძლთ ერთმანეთისგან გთიშვენ.

ამას, ვამბობ, რაიმე ქვენა აზრით ჩვენი მტერ-ორგულნი ჩადიან.

ასეთ მოვლენაზე სიცილის მეტი რა გვმართებს... მტერ-მოყვარეთ ეს, ქვენა აზრს გარდა, იქნება, ხანდახან უვიცობით, უტიფრობითაც ემართებათ...

მაგრამ...

ჩვენ წინ ძევს პატარა წიგნაკი—**ქუთაისის თვითმართველობის 1912 წლის მოღვაწეობის ანგარიში**“. გადაფურცლეთ, ნახეთ 34-ე გვერდი ამ ანგარიშისა და ამოიკითხავთ: ქუთაისის ქირურგიულ საავათმყოფოში საანგარიშო წელს ყოფილა ამდენი და ამდენი ავათმყოფი და ესენი **ეროვნულათ ამ სახით განაწილდებიან: იმერელი, მეგრელი, ქართველი, გურული, სვანი.**

ქუთაისში, „ქართულ ქალაქში“, თვითმართველობა, რომელიც სულ ქართველებისგან შესდგება ასეთ მოღვაწეობას, ანგარიშს გვაწვდის...

აქ კი აღარ გვმართებს სიცილი!

**დ.**

## ქალაქის საბჭოს სხდომა, 4 ნოემბერს.

საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ანტონ ფურცელაძის ხსოვნას.

საბჭოს სხდომაზე დიდი კამათი გამოიწვია ხმოსნის გ. ნასარიძის მიერ ამასწინათ ქალაქის საბჭოს სხდომაზე წარმოთქმულმა სიტყვამ შესახებ იმისა, თითქოს ქალაქის გამგეობის ერთ წევრთაგანს ხელი შეეწყოს ბუტულაშვილისათვის და მისაკუთრებიოს წყალთა შუა მდებარე ქალაქის ადგილი; ამ საკითხის შესახებ გაზეთ ,,მერცხალშიც'' იყო მოთავსებული შენიშვნა, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: თითქო გამგეობის წევრს ქრთამათ მიეღოს ბუტულაშვილისაგან 300 მანეთი. გამგეობის წევრმა პავლე მოსიძემ თავისი განმარტებით, სავსებით დაამტკიცა, რომ ნასარიძის ბრალდება სრულიად უსაფუძვლო და ქუჩაში შეკრებილი ჭორი იყო, რასაც თვით ნასარიძეც არ უარყოფდა. საბჭომ ერთხმათ სრული ნდობა და პატივისცემა გამოუცხადა გამგეობის წევრს ბ-ნ მოსიძეს და ნასარიძის ბრალდება სრულიად უსაფუძვლოთ სცნო. ზოგიერთმა ხმოსანმა წინადადება მისცა საბჭოს გაკიცხვა გამოეცხადებია ნასარიძისათვის ქუჩაში შეკრებილი ხმების ოფიციალურ კრებაზე წარმოთქმისათვის და აგრეთვე ამ ხმების გაზეთის ფურცლებზე მოთავსებისათვის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქალაქო დებულების ძალით საბჭოს ამის ნება არ ქონია.

დაუსრულებელი კამათი გამოიწვია საკითხმა, სავაჭრო საკომისიონერო სააქციონერო საზოგადოებასთან პირობის შეკვრის შესახებ, წყალსადენის, ელექტრონული განათებისა და ტრამვაის ტეხნიკური პროექტების გამო. ზოგიერთმა ხმოსანმა წინადადება შეიტანა, რომ ხსენებულს სამ მუნიციპალურ საქმეს შეუერთდეს აგრეთვე კანალიზაციის მოწყობაც. ხანგრძლივ კამათს შემდეგ საბჭომ დაადგინა—მიენდოს ქალაქის ინჟენერს შეადგინოს დამატებითი ხარჯთაღრიცხვა კანალიზაციის მოწყობისა და ტრამვაის შესახებ. ამავე სხდომაზე საბჭომ დაადგინა—გაიგზავნოს თფილისს ქალაქის წარმომადგენელთა კრებაზე, ქალაქის მოურავი ილია ჩიქოვანი და ქალაქის სანიტარი აქიმი ვ. ლორთქიფანიძე.

# სახელმწიფო სათათბირო.
(რუსეთ. დეპეშ. სააგენტო)

5 ნოემბრის სხდომა.

**გოლიცინსკი** თავჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის არის სინოდის ობერპროკურორის განცხადება მისგან წარდგენილ კანონ.პროექტის უკან დაბრუნების შესახებ. კანონპროექტში სინოდი საგზაო ხარჯის ფულათ 53,501 მანეთის გადადებას თხოულობდა. ბქვეყნებენ საკანონმდებლო წინადადებას რადის გამოსარკვევათ ექსპედიციის დაარსების შესახებ.

**შუბინსკი** ამბობს: სამკურნალო საქმეში რადის გამოყენება დიდი ბედნიერებაა. რადით წამლობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. შუბინსკი თხოულობს, რომ საკანონმდებლო წინადადება კომისიას გადაეცეს. ორატორის წინადადებას ღებულობენ. კანონიერათ სცნობენ ვოლინის და კიევის გუბერნიების დამატებითი არჩევნებს. იხილვენ კანონპროექტს ჩერნოვცას ნავსადგურის შესახებ: **მილიუტინი** აღნიშნავს, რომ ჩერნოვცის ნავსადგურის გაკეთება დასრულებულათ არ შეიძლება ჩაითვალოსო. ამის გამო იქ გადასახადის დაწესება ჯერ ჯერობით ნაადრევიაო. ოკტომბრისტთა სახელით ორატორი თხოულობს კანონპროექტი კომისიას დაუბრუნდეს. რუსეთის წყლებში მიმოსვლის საქმეთა გამგე კანონპროექტის კომისიაში დაბრუნების წინააღმდეგია. გადასწყვიტეს კანონპროექტი კომისიას გადასცენ. იხილვენ კანონპროექტს ალექსანდროვსკის ნავსადგურზე გადასახადების დაწესების შესახებ. თხოულობენ კანონპროექტის საჩქაროთ განხილავს. მილიუტინი პროექტის საჩქარო განხილვის წინააღმდეგია. თხოულობს პროექტი კომისიას გადაეცეს. მსჯელობენ სამხედრო საზღვაო ბეგრის შემოღების შესახებ.

**ვერშინინი**. აცხადებს, რომ შრომის ჯგუფის ფრაქცია კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ წავა, ვინაიდან კანონპროექტში ხედავს მილიტარიზმის გაძლიერებასო. **ზვეგინცევი** კანონპროექტის მიღების მომხრეა. კენჭის ყრით კანონპროექტს ღებულობენ. მორიგ საკითხთა შორის არის პოლონეთში საერობო დაწესებულების შემოღების პროექტი.

**ბარონსკი** ამბობს:—რამდენიმე დღეს შემდეგ რუსეთი იდღესასწაულებს ერობის 50 წლის არსების თავს. ეს იუბილე ერთხელ კიდევ [illegible] თუ რამდენ ხანს ქონდათ ხელფეხი შებორკილი და რამდენი დრო დაკარგეს საზოგადოების [illegible] შაობაში. თანამედროვე [illegible] ნათ [illegible] თვითმართველობის საქმის წარმოება მთავრობის ძალლონეს აღემატება. ასეთ შემთხვევაში პოლონეთში ერობის შემოღების გადადება პოლონეთზე ძალიან ცუდათ მოქმედებს. სათათბიროს ისღა დარჩენია, რომ პროექტის მოწონებით პროექტის საჭიროება დაამტკიცოს.

**გრაფი ბობრინსკი** აცხადებს:—ნაციონალისტები კანონპროექტის მიღების მომხრე არიან, მაგრამ არ მოითხოვენ, რომ პოლონეთში ერობა დაუყონებლივ იქნეს შემოღებული, ვინაიდან არის რუსეთში ისეთი ერობას მოკლებული გუბერნიები, რომელსაც პოლონეთთან შედარებით უპირატესობა აქვთ. ორატორი ასახელებს გროდნოს გუბერნიას და აღნიშნავს, რომ ამ გუბერნიაში მკვიდრი რუსები ცხოვრობენო. **როდიჩევი** აცხადებს, რომ კადეტები კანონპროექტს მხარს დაუჭერენ. ის ამბობს:—კადეტები თანასწორუფლებიანობის მომხრე არიან. სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში იმათ რიგი არ იციან. სამართლიანობა ყველასთვის ერთნაირი უნდა იყვეს. **კერენსკი** ამბობს:—ტრუდოვიკებს განზრახული ერობა ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებათ არ მიაჩნიათ. პოლონეთში განზრახული ერობის შემოღება ხალხის მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი ვერ დააკმაყოფილებს. პროექტს მაინც მხარს დავუჭერთ. ხსენებული ერობა საშვალება იქნება კულტურულ-ეკონომიურ ძალთა გაძლიერებისა საკითხი ერთხმათ მიიღეს. შემდეგ მსჯელობენ მთავრობის მიმართ შეკითხვის შესახებ. მთავრობას ეკითხებიან, თუ რა მდგომარეობაშია საქალაქო დებულების კანონთა 128 მუხლის შეცვლის კანონპროექტი. **ანტონოვი** შეკითხვას მხარს უჭერს. შემდეგ მსჯელობენ დეპუტატობისა და არჩეულ საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

# დეპეშა.
(პეტ. დეპ. სააგ).

### რ უ ს ე თ ი.

**ვარშავა**. რონიკერის საქმის გარჩევა დაიწყო. მოწმეებს ჩვენებას ართმევენ. ჩვენება ჩამოართვეს მოწმე ჟურნალისტს ზალენსკის; მოწმემ დაახასიათა რონიკერის ლიტერატურული მოღვაწეობა. შემდეგ მოკლულის ამხანაგებს ძომბოვსკის ართმევენ ჩვენებას.

**ლოძენსკი**. საქსოვი ქარხნის მუშები გაიფიცნენ. გაფიცულთა რიცხვი სამასამდი არის. გაფიცულები ახალი შრომის ფასის მიღებაზე უარს აცხადებენ.

**იალტა**.. შინაურ საქმეთა მინისტრი წავიდა.

**პეტერბურგი**. ზრესის საქმეთა კომიტეტმა დააკავა ,,რუსკოე ზნამიას'' 249 ნომერი.

**ურალსკი**. კირგიზის ველის მახლობლათ რამდენიმე კაცი შავი ჭირის ნიშნებით ავათ გახდა.

### უ ც ხ ო ე თ ი.

**დურბანი**. მოხდა ინდოელთა საერთო გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს მეეტლეებმა და მზარეულებმაც. გაფიცულები ფიქრობენ ევროპიელების ამოწყვეტას. შაქრის პლანტაციებს ცეცხლს უჩენენ.

**მალტა**. მოსალოდნელია, დიდმა ბრიტანიამ ხმელეთ შუა ზღვის ფლოტის საქმეში დიდი ცვლილება მოახდინოს.

**ლონდონი**. მუშათა მეთაურმა ლარკინმა მანჩესტერში ილაპარაკა და მოუწოდა მუშებს ტრედ-უნიონისტების უფლების მოსაპოვებლათ.

**პარიზი**. მოვიდა ესპანიის მეფე თავის ამალით.

**ბერლინი**. „კრეიცბიტუნგი'' ძალიან ტკბილი სიტყვებით ეგებება კოკოვცოვს. გაზეთი აღნიშნავს რუსეთში ეკონომიურისა და ფინანსიური საქმეების წინსვლას.

**ლისაბონი**. 37 დეპუტატში 34 სამინისტროსა და დემოკრატიის მომხრე დეპუტატები აირჩიეს. არჩევნები მშვიდობიანათ დასრულდა.

**ურგა**. მონგოლთა ენაზე ახლათ გამოსულმა ჟურნალმა ძალიან დაინტერეს

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილი აბრეშუმის ჭიის თესლის
ხ. ხრისტოდულიდის (რომელ-საც წინათ ეძახდნ წერეთლის)
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საჭაროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ქქთამეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოიეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

ხუტუხტა. ხუტუხტამ ჟურნალის მიმართულება მოიწონა. მინისტრებსა და თავადებს უბძანა, ამ ორგანოს დიდი მორიდებით მოეპყარითო.

## ხმა პეტერბურგიდან.

**პროფ. კოსოროტოვი.**

ოთხშაბათს, 23 ოკტომბერს უნივერსიტეტის დარბაზში გამოაკრეს განცხადება: ,,დღეს პროფ. კოსოროტოვი დაიწყებს თავის ლექციების კითხვას''-ო.

კოსოროტოვი სასამართლოს მედიცინის პროფესორია და უკვე დიდი ხანია კითხულობს ლექციებს. როგორც მიგეხსენებათ, პროფ. კოსოროტოვი მოწვეული იყო ექსპერტათ კიევის სასამართლოში, სადაც მან ნათლად დაგვანახა თავისი მიმართულება და „სიმართლისადმი“ მიდრეკილება. და აი, ამიტომაც სტუდენტებმაც მოისურვეს მისი ჯეროვანი გამასპინძლება.

ორ საათზე მეშვიდე აუდიტორია, სადაც უნდა წაეკითხა ხსენებულ პროფესორს თავისი მორიგი ლექცია, სტუდენტებით იყო გაჭედილი. შემოვიდა თუ არა კოსოროტოვი თავისი ჩვეულებრივის ღიმილით, წამსვე სტუდენტებმა მორთეს ყვირილი: ,,ძირს შავი რაზმი'', ,,ჩირქს სცხებთ ჩვენს ,,უნივერსიტეტს,' ,,რა საქმე აქვს პურიშკევიჩს მეცნიერებასთან'' და სხვადასხვა.

ძლიერი იყო ეს ღელვა და პროფესორისადმი უკმაყოფილება. უნივერსიტეტის რექტორმა გრიმმა, რომელიც მალე გაჩნდა იქ, ვერ დააწყნარა სტუდენტები, სანამ არ გავიდა კოსოროტოვი.

პროფ. გავიდა სასამართლოს მედიცინის კაბინეტში, მაგრამ არც აქ სცხრებოდენ სტუდენტები: დაამტვრიეს კაბინეტის ფანჯრები და კვლავ უმასპინძლდებოდენ ღირსეული სიტყვებით.

როდესაც რექტორმა შენიშნა სტუდენტებს—ყვირილით ხომ ვერ შესცვლით მის რწმენასა და მიმართულებასო, სტუდენტებმა მკვახეთ მიუგეს: ,,ჩვენ არ გვწადია მისი რწმენისა და მიმართულების შეცვლაო, მხოლოდ პროტესტს ვუცხადებთ პროფესორის შეუწყნარებელსა და საზიზღარ მოქმედებას კიევის სასამართლოშიო და სხვ.

მალე მოვიდენ, უკვე თავშივე მოწვეული პოლიციელები, მაგრამ სტუდენტებმა მოასწრეს გაფანტვა სხვადასხვა აუდიტორიაში.

პოლიციელების შემწეობით დამშვიდებული წავიდა შინ კოსოროტოვი, რომელიც აკადემისტებმა დიდის ოვაციით გაისტუმრეს.

28 ოკტომბერს უნივერსიტეტის დარბაზები სავსე იყო დილიდანვე პოლიციელებით. სამ საათზე უნდა წაეკითხა კოსოროტოვს ლექცია თავისი. მეშვიდე აუდიტორიასთან იდგა ჯგუფ-ჯგუფათ სტუდენტები. ამათში ცალკე ჯგუფათ იდგენ აკადემისტები რიცხვით 70—მდი. პრორექტორმა მოუწოდა სტუდენტებს დაშლილიყვენ და აი, ამ საუბრის დროს დერეფანში შემოვიდენ პოლიციელები. სტუდენტებმა ყვირილი ასტეხეს, პოლიციელებმა სწრაფლ დაიჭირეს გასასვლელი კარები და დააკავეს სუყველა სტუდენტი. აკადემისტები გაუშვეს (მათ ცალკე ნიშნები ქონდათ მუნდირზე), ხოლო დანარჩენთ, რიცხვით ორასამდი, ჩამოართვეს მატრიკულები და შემდეგ გაათავისუფლეს.

ს. ყ.

28 ოკტომბერი.

## ექსკურსია გელათში.

არის ადგილი! მის შვენებას
ვერ ასწერს ხელი...
როგორც ედემის, მის აღწერა
ისე ძნელია!

ვ. ორბელიანი.

სწორეთ დილის რვა საათი იქნებოდა, როდესაც ქუთაისიდან გელათისაკენ მიმავალი მატარებელი დაიძრა და თან წაგვიტანა მოწაფეთა ჯგუფი, რათა გვენახა ჩვენი სიამაყე, ეროვნების ბურჯი—გელათი.

გული სიხარულით გვევსებოდა, როდესაც წარმოვიდგენდით, რომ რამდენიმე წუთს შემდეგ ვიხილავდით ძველი სიდიადის მოწმეს, და აწმყოთი გულდაწყვეტილნი წარსული ნაშთის ძლიერებით მაინც დავსტკბებოდით.

თანდათან ვშორდებოდით ქუთაისს და მივქროდით იქითკენ, სადაც ისტორიული მოგონებანი გულსა და სულს ააფრთოვანებდენ. მატარებელიც თითქოს თანაუგრძნობდა ჩვენს სურვილებსო, მარდათ მიქროდა. ჩვენ თვალწინ გზადაგზა იშლებოდა ლამაზი ბუნება: მკრთალი ნაზი ცა ალერსით გადმოსცქეროდა არემარეს. თითქოს ბუნებას მეჯლისი გაუმართავსო— სიცოცხლე და სიხარული მეფობდა. ჩვენც ეს სურათი გვახარებდა, სიცოცხლის ძალას გვაძლევდა, გვაგიჟმაჟებდა, გვაცელქებდა... აი, გამოჩნდა წყალწითელაც... როგორ მაგრათ მიქრის, თითქოს ისიც თანაუგრძნობს ბუნების საერთო მეჯლისსო. ცოტა ხანი კიდევ, და გამოჩნდა გელათიც! როგორ ამაყათ გადმომდგარა მთის წვეროზე, რა სიძლიერითა და თავმომწონეთ გადმოიმზირება მთის იქიდან, თითქოს გვეუბნება: შემომხედეთ, დასტკბით ჩემის ცქერით, მე ვარ სიმბოლო საქართველოს ძველი სიმაგრისა და შეუდრეკელობისაო.

შევსცქეროდით, ვეტრფოდით, და ვერ ვძლებოდით მისი სიტურფით, და ამავე დროს გული გვიკვდებოდა, როდესაც წარმოვიდგენდით ახლანდელ დროს... ვინ უწყის, საითკენ არ გადაგვაქროლებდა მწარე ოცნება, რომ ამ დროს მატარებელი არ გაჩერებულიყო სადგურზე.

ცოტა ხანს შემდეგ გავებაწრეთ შარა გზას, რომელსაც უნდა მივეყვანეთ მონასტერში. მისვლისათანავე მხიარულათ მოვეფინეთ გელათის მიდამოს და ხელმძღვანელ—მასწავლებლების დახმარებით შევუდეგით სიძველეების დათვალიერებას.

თითოეული ნაკვთი ქვისა, თითოეული ბოძი მოწმობს სიმძლავრეს, შეურყევლობას და მასთან ყოველი ფეხის ნატერფალი ამ მიდამოებისა სისხლ-ნარევ ნალვლით არის მორწყური. ვუვლიდით გარშემო ტაძარს და ვერ ვძლებოდით სიტურფითა და საკვირველობით. შევედით ტაძარში. აქ ხომ სავსებით წარმოგვიდგა თვალწინ საკვირველებანი საქართველოს სიძველისა. ბედნიერათ ვგრძნობდი თავს, როდესაც ჩვენი ულირსი ხელებით შევეხეთ ჩვენი ძველების სამოსლებს: ხელში ავიღეთ ბრწყინვალე თამარის ქოში, აღმაშენებლის გვირგვინი და სხვა სამოსლები დიადი პირებისა, იმ გმირებისა, რომელთაც მთელი ცხრამეტი საუკუნე ხმლითა და ჯვრით იცავდენ მრავალტანჯულს ქართველ ერს მტრისაგან...

დროს უქონლობისა გამო, მალე მოვსწყვიტეთ თვალი ძვირფასი ნაშთების ცქერას, გრძნობა-გონება ოცნებებს წონაპართა ნაშთების ხილვით გამოწვეულს... და გამოვბრუნდით. თანდათან მწუხრი იპყრობდა არემარეს და ტურფათ გადაშლილი მიდორ-ველები თვალიდან გვეფარებოდა... დიახ! სიბნელე იცავდა არეს, მაგრამ ნელა ცის კაბადონზე მთვარე ამოსრიალდა და სხივები უხვათ მოაფრქვია მიდამოს. შევჩერებოდით მთვარის შუქს და გვეძლევოდა იმედი უფრო მძლავრის სინათლისა... მზის სინათლისა!..

მოწაფე ქალი ბ. მჯ—ის ასული.

## დაბა-სოფელი.

**ზესტაფონი.** ზესტაფონში საკმარისათ მოიპოება ინტელიგენცია.

მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ თუ რა არის კულტურული წინსვლა, საზოგადო საქმიანობა, და საზოგადო საქმეთა ინიციატივა!.. კულტურული დაწესებულებით მდიდარი არა ვართ. აქ არსებობს სამკითხველო რომელიც სულს ლაფავს სიღარიბით. აქაურ ინტელიგენციას ერთხელაც არ მოსვლია აზრათ, რომ მოეწყო დრამატიული სექცია წარმოდგენებისათვის. გარდა ქეიფისა „ალავერდიიახშიოლის“ და კარტ-ნარდის თამაშის მეტს არას აკეთებენ,

ძალზე გახშირდა ავაზაკობა. თუ ვისმეს ორ კაპიკს შენიშნენ, დაესხმიან თავს და არბევენ მყუდრო ოჯახს. მათგან ხალხს მოსვენება არ აქვს.

3 ნოემბერს, ადგილობრივმა ინტელიგენციამ მაზრის უფროსს სენაკს გადაყვანის გამო ვახშამი გაუმართა. ვახშმის გასამართავათ საწევრო გადასახადი 5 მანეთი იყო.

კოკი.

## ღია ბარათი.

**ბ. აბესალომ კუჭაიძეს.**

გაზ. „ერის“ მესამე ნუმერში მე თქვენ მიწვევთ, სამედიატორო სამართალში იმის გამო, რომ ქალაქის მეორე აფთიაქიდან დამითხოვეთ. ალბათ ამ შემთხვევაში ჩემს საქციელს უსამართლოთ სცნობთ და, როგორც ჩემგან უსამართლოთ დასჯილი, მიწვევთ სამედიატორო სამართალში. დიდი სიამოვნებით დაგეთანხმებით თქვენს წინადადებაზე, მაგრამ რადგან ეს საქმე, ე. ი. თქვენი ჩემგან დათხოვის მიზეზი, უკვე გამორკვეულია საფთიაქო კომისიისაგან, რომელმაც სრულიად სამართლიანათ სცნო ჩემი ამ შემთხვევაში მოქმედება, ამისთვის ზედმეტათ მიმაჩნია დროს დაკარგვა და კიდევ ვისიმე შეწუხება უკვე გამორკვეულისა და დასრულებული საქმის გამო. რაც შეეხება თქვენს მუქარას იმის შესახებ, რომ ყოველივე ჩემს საქციელს პრესის საშვალებით ამცნობთ საზოგადოებას, რასაკვირველია, სრული ნება გაქვთ. მეც ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, იძულებული ვიქნები სრულიად გამოვამჟღავნო თქვენგან ჩადენილი უწესო საქციელი.

ზროვიზორი ი. ნარეშელაშვილი.

## ჩემი განცხადება.

კოოპერაციის მტრებს ჩემი ორ-სამი კვირით მოშორება ქუთაისიდან კოოპერაციის საწინააღმდეგო მასალათ გამოუყენებიათ. „იასონ გაბილაია რუსეთს წავიდა, სადაც მან დიდი ჯამაგირიანი ადგილი იშოვაო“ და სხვ. ამ ცრუ ხმებმა რომ არავინ არ შეიყვანოს შეცდომაში, ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ თუმცა, მართალია, ადგილის შოვნა შეიძლება არ გამჭირებოდა, და არც ახლა გამიჭირდეს რუსეთში, მაგრამ ჩემს მისწრაფებას ვინც ოდნავ მაინც იცნობს, ის კარგათ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მე არავითარ შემთხვევაში არ ჩამოვშორდები იმ სამოღვაწეო ასპარეზს, სადაც დავიწყე მუშაობა. უკანასკნელი „მაგალითები“ მე სულაც არ მაღონებს, პირიქით აქიდან უფრო მეღვიძება იმედი, რომ რაკი ხალხის ფართო მასა დაინტერესდა კოოპერაციით, ადრე თუ გვიან, უკანასკნელი ბრწყინვალეთ გაიმარჯვებს. ამ უკანასკნელ ხანებში მე არათუ არ მჩვეცემივარ სასოწარკვეთილებას, არამედ წინანდელის ენერგიით ვმუშაობდი სახელმძღვანელო წიგნის შედგენაზე, რამაც გამოიწვია რამდენიმე დღით ჩემი სოფელში წასვლა.

იასონ გაბილაია.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

მოითხოვით ყველგან!!!
პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისაგან საუკეთესო
მომზადებული ნამდვილი გლიცერინის




საპონი.
იყიდება კავკასიის ყველა საფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

გამოცდილი მასწავლებელი,
ნაფიცი ვექილის თანაშემწე
ამზადებს და ამეორებიებს საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.
აქვე შეიძლება მიღება ჩვევა-დარიგებისა
სამოსამართლო საქმეების შესახებ.
მოსწავლენი მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, კლიენტები-კი—საღამოს 6—7 საათამდი. კათოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.

სამკურნალო
აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
ხრესილი.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში
მიღებულია შემდეგი ახალი წიგნები.

| | | |
|---|---|---|
| 1. | თ. ჟორდანია, ქართული ენისთვის ბრძოლა . . | ფ. ერთი აბაზი |
| 2. | ალ. ჭიჭინაძე მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა. . . . . . . . . . | ფ. შვიდი შაური |
| 3. | გ. ხეჩუაშვილი, საქართველოს გმირი (გიორგი სააკაძე) . | ფ. ორი აბაზი |
| 4. | უცხო სიტყვათა ლექსიკონი . . . . . | ფ. ერთი აბაზი |
| 5. | გ. ერისთავის რჩეული თხზულებანი—საკლასოთ სახელმძღვანელო წიგნი I . . . . . | ფ. სამი აბაზი |
| 6. | Кипшидзе. Зак. о прекращ. вр. обяз. отнош. крест. къ помѣщикамъ . . . . . | ц. 30 к. |
| 7. | Ильинъ. Поѣздка въ Сванетію . . . . | ц. 1 р. 25 к. |
| 8. | Кульманъ. Методика русскаго языка . . . | ц. 1 р. 30 к. |
| 9. | Дитмаръ. Курсъ географіи Россіи . . . | ц. — 60 к. |
| 10. | Обуховъ. Какъ вести занятія съ нѣсколькими отдѣленіями . . . . . . . . | ц. 1 р. 10 к. |
| 11. | Ницше. Автобіографія (Ecce homo) . . . | ц. 1 р. — |

გ. გორდამისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

ელექტრო-საბეჭდავი ფირმისა და კარნაუხოვის ქუთაისში.